საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2471

2011 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დაფუძნების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დასაფუძნებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 დეკემბრის №817 ბრძანებულების შესრულების მიზნით:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (შემდგომში – ფონდი) სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ 100%-იან წილზე დაფუძნება.

2. განისაზღვროს ფონდის გამგეობის შემდეგი შემადგენლობა:

ნიკა გილაური	–	საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
ზაზა გოროზია	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
რამაზ ნიკოლეიშვილი	–	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
დიმიტრი გვინდაძე	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
ვერა ქობალია	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
ალექსანდრე ხეთაგური	–	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
გიორგი აბულაძე	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი
კონსტანტინე კობახიძე	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი
ეთერ ყამარაული	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მომენტიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**